



არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია საქართველო — ადგილობრივი არჩევნები, 30 მაისი, 2010

მოხსენება წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ

წინასწარი დასკვნები

30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ეუთოსა და ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების მხრივ აშკარა პროგრესი აღინიშნა. თუმცა მნიშვნელოვან ხარვეზებს შორის რჩება კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებები, მისი განხორციელება, არათანაბარი წინასაარჩევნო პირობები და არჩევნების დღეს დაფიქსირებული გაყალბების იზოლირებული შემთხვევები. ხელისუფლებამ და საარჩევნო ადმინისტრაციამ აშკარა ძალისხმევა გაწია ამ პრობლემების პროაქტიურად გადაწყვეტისთვის. თუმცა საზოგადოებრივი ნდობის დაბალი ხარისხი მაინც შენარჩუნდა.

მიღწეული პროგრესის კონსოლიდირებისა და მომდევნო საყოველთაო არჩევნებამდე საზოგადოებრივი ნდობის გაზრდის მიზნით საჭიროა მეტი ძალისხმევა განმეორებადი არამართლზომიერი ქცევის მტკიცედ აღმოსაფხვრელად. მიუხედავად იმისა რომ არჩევნები მთლიანობაში კარგად იყო ადმინისტრირებული, არჩევნების დღეს, წინა არჩევნების მსგავსად, სისტემური უწყსრიგობები იქნა დაფიქსირებული განსაკუთრებით კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში.

საარჩევნო ადმინისტრაციამ აღნიშნული არჩევნები პროფესიონალურად, გამჭირვალედ და ყველა მხარის მონაწილეობით წარმართა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) ახალი თავმჯდომარე შეეცადა ყველა საკითხზე კონსენსუსის მიღწევას ცესკოს წევრებს შორის, ცესკოში პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი წევრების ჩათვლით. არჩევნების ისტორიაში პირველად საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნები ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული საუბნო კომისიის წევრების მიერ იყვნენ არჩეული, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები მიესალმნენ ამ სიახლეს, რომელმაც პროცესებში ჩართულობის ხარისხი გაზარდა. ადგილობრივი დამკვირვებლების დიდმა რაოდენობამ განაპირობა საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის ზრდა.

ამომრჩევლების სიების ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა გაწეული. ამ არჩევნების წინ პოლიტიკურმა პარტიებმა სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს სიების გადასამოწმებლად. ამომრჩევლებს საკმარისი ინფორმაცია და დრო ჰქონდათ სიებში საკუთარი მონაცემების გადასამოწმებლად. ერთიან საარჩევნო კოდექსში, სხვა ცვლილებებთან ერთად, შეტანილ იქნა შეზღუდვები მოქალაქეთა ზოგიერთი კატეგორიისთვის ადგილობრივ არჩევნებში

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია

საქართველო, ადგილობრივი არჩევნები, 30 მაისი 2010 წელი

მოხსენება წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ

გვერდი: 2

ხმის მიცემის უფლებასთან დაკავშირებით. ეს ცვლილება განხორციელდა ოპოზიციური პარტიების მიერ გამოთქმული შიშის საპასუხოდ, რომელიც შესაძლო საარჩევნო კანონდარღვევებს შეეხება.

2009 წლის დეკემბერში ერთიანი საარჩევნო კოდექსი არსებითად შეიცვალა. გათვალისწინებულ იქნა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის მიერ მანამდე გამოთქმული ზოგიერთი რეკომენდაცია. შეცვლილი კოდექსი ზოგადად ადეკვატურია არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისთვის. თუმცა გარკვეული რაოდენობის მნიშვნელოვანი ხარვეზები კვლავ რჩება, მათ შორის ხმის მიცემასა და არჩევნებზე კანდიდატურის წამოყენებასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვები და საარჩევნო სისტემა, რომელიც ხმის თანასწორობას არ უზრუნველყოფს. ის დებულებები, რომლებიც გარკვეული საჯარო მოხელეების საარჩევნო კამპანიაში შეუზღუდავი მონაწილეობის და ასევე საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საშუალებას იძლევა, არ უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისთვის.

ამ არჩევნებისთვის ცესკომ რეგისტრაციაში 26 პოლიტიკური პარტია გაატარა. აღნიშნული პროცესი მხარეების ჩართულობით ხასიათდებოდა. კანდიდატების სიმრავლის და მრავალფეროვნების შედეგად ამომრჩევლებს რეალური არჩევანის გაკეთების საშუალება მიეცათ, თუმცა კონკურენტების რაოდენობა ზოგიერთ ერთმანდატიან ოლქში შეზღუდული იყო, ხოლო მაჟორიტარი კანდიდატების 4.5%-მა რეგისტრაციის შემდგომ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

საარჩევნო კამპანია ძირითადად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა და არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს კამპანიის წარმოების და თავისუფლად შეკრების საშუალება ჰქონდათ. ძირითადი ყურადღება თბილისის მერის არჩევნებზე იყო გამახვილებული. დედაქალაქის გარეთ საარჩევნო კამპანია ნაკლები აქტიურობით ხასიათდებოდა. არჩევნებში მონაწილე სუბიექტების უმრავლესობა კონკრეტულ თემატიკაზე ორიენტირებულ კამპანიას აწარმოებდა. ბევრი კანდიდატი გამოხატავდა უნდობლობას საარჩევნო პროცესის მიმართ. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ, რომელიც OSCE/ODIHR-ისა და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესისგან შედგებოდა, ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციისგან დარღვევების შესახებ ბრალდებები მიიღო. ბრალდებებს შორისაა კანდიდატურის მოხსნის მიზნით კანდიდატებზე ზეწოლა. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამთავრობო სამუშაო ჯგუფი ცდილობდა რეაგირება მოეხდინა ამ განცხადებებზე. მიუხედავად იმისა რომ ამ განცხადებების დასაბუთება ყოველთვის ვერ ხდებოდა, OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლების შეფასებით ზოგიერთი მათგანი დამაჯერებელი იყო. ზღვარი სახელმწიფოსა და მმართველ

პარტიას შორის ზოგჯერ ბუნდოვანი იყო. სახელმწიფო მოხელის ოფიციალური და პარტიული ფუნქციები ყოველთვის არ იყო მკვეთრად გამიჯნული.

მედია გარემო მრავალფეროვანია, მაგრამ მედია საშუალებები დაყოფილია პოლიტიკური ხაზით და ბევრი მათგანი საკუთარი მფლობელის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. გარდა მედია მფლობელობის გამჭვირვალობის საკითხი გაუმჯობესებას საჭიროებს. საარჩევნო კამპანიის განმავლობაში მედია გადასცემდა არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროგრამას, მათ შორის დებატებს, რაც ამომრჩევლებს უფრო ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევდა. საზოგადოებრივი მაუწყებელი ახალი ამბების გამოშვებებში საკუთარ მაცურებელს საარჩევნო კამპანიის მთლიანობაში დაბალანსებულ სურათს აწვდიდა. თუმცა წინასწარჩევნო კამპანიის გაშუქება სხვა სატელევიზიო არხების მიერ, რომელთა მონიტორინგსაც მისია ახორციელებდა, არ იყო დაბალანსებული. ზოგიერთი მათგანი მხარს უჭერდა ხელისუფლებას, ზოგიერთი კი - ოპოზიციას. იმ სატელევიზიო არხების უმრავლესობამ, რომელთა მონიტორინგსაც მისია ახორციელებდა, დიდი დრო დაუთმო ხელისუფლების მიერ წარმოებული საქმიანობის პოზიტიურად გაშუქებას, საარჩევნო კამპანიის კონტექსტის მიღმა, რაც არაპირდაპირ ხელს აძლევდა სახელისუფლებო კანდიდატებს. წამყვან სატელევიზიო არხებზე ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ძალიან მაღალმა ტარიფმა კანდიდატებს მედიაში საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალება შეუზღუდა.

ერთიან საარჩევნო კოდექსის იმ დებულებებში, რომლებიც საარჩევნო დავებს ეხება, სასურველი იქნებოდა მეტი სიცხადის შეტანა. ცხადი იყო, რომ როგორც მოსარჩელებს ისე საარჩევნო კომისიების წევრებს კარგად არ ესმოდათ საარჩევნო საჩივრებისა და განცხადებების მარეგულირებელი პროცედურული დებულებები. პროცედურების და კომპეტენციის შესახებ კონკრეტიკის ნაკლებობამ საარჩევნო კომისიებს საჩივრების განხილვების მხრივ დიდი დისკრეციული უფლებამოსილება მისცა, რაც არათანამიმდევრულ პრაქტიკაში გადაიზარდა.

კანდიდატებსა და ცესკოს წევრებს შორის ქალების წილი მცირე იყო, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონეებზე ქალები საკმაოდ რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი. ბევრმა პარტიამ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში კანდიდატებად ამ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები წამოაყენა; ამისგან განსხვავებით ამ რაიონების საოლქო საარჩევნო კომისიებში უმცირესობები მცირედ იყვნენ წარმოდგენილი. სხვადასხვა საარჩევნო მასალა ეთნიკური უმცირესობების ენებზე იყო ხელმისაწვდომი.

არჩევნების დღემ მთლიანობაში მშვიდად ჩაიარა და არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულებული საარჩევნო უბნების დიდ უმრავლესობაში არჩევნების პროცესი გამჭვირვალედ და კარგად იქნა წარმართული. თუმცა საერთაშორისო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მონაცემებით რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა დამაბულობას და პროცედურულ დარღვევებს, ზოგიერთი მათგანი სერიოზული ხასიათის მქონე

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია

საქართველო, ადგილობრივი არჩევნები, 30 მაისი 2010 წელი

მოხსენება წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ

გვერდი: 4

დარღვევა იყო, მათ შორის 13 შემთხვევაში სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაყრას. ცესკოს წინასწარი მონაცემებით არჩევნებში ამომრჩეველთა 49%-მა მიიღო მონაწილეობა. საერთაშორისო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულებული საარჩევნო უბნების 96%-ში წარმოებული ხმის მიცემის პროცესი პოზიტიურად შეფასდა. საერთაშორისო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მონაცემებით შედარებით ნაკლები იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ამომრჩევლები ვერ პოულობდნენ საკუთარ მონაცემებს ამომრჩეველთა სიებში. საერთაშორისო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულებული საარჩევნო უბნების დიდ უმრავლესობაში ადგილობრივი დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ხმების დათვლის პროცესი უფრო ნეგატიურად შეფასდა, საშუალოდ ხუთიდან ერთ შემთხვევაში ხმების დათვლის პროცესი შეფასდა როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი, მნიშვნელოვანი პროცედურული შეცდომები და გამორჩენები იქნა დაფიქსირებული ხმების დათვლის შემთხვევებიდან ერთ მეოთხედზე მეტ შემთხვევაში. საშუალოდ ხუთი საუბნო საარჩევნო კომისიიდან ერთში დაფიქსირდა პრობლემები ოქმების შევსების დროს, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების ერთ მესამედზე მეტში ოქმები არ გამოქვეყნებულა, მიუხედავად იმისა რომ ამას კანონი ითხოვს. იმ 43 საოლქო საარჩევნო კომისიიდან, რომელთა მუშაობასაც აკვირდებოდნენ საერთაშორისო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები, 5-ში წარმოებული ხმების შეჯამების პროცესი ნეგატიურად შეფასდა. პრობლემები განსაკუთრებით საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მოწოდებული ხმების დათვლის შედეგების ოქმებთან დაკავშირებით იქნა დაფიქსირებული. დამკვირვებლებს ზოგჯერ ხელს უშლიდნენ დაკვირვებაში, ხოლო საერთაშორისო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ერთ-ერთი დამკვირვებელი გამოიხმეს რადგან მის განხორციელებული მუქარის გამო.

წინასწარი მონაცემები

ზოგადი ფონი

2010 წლის 30 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 30 მაისს დანიშნა. ამომრჩევლებმა ხმა მისცეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მუნიციპალიტეტების და თვითმმართველი ქალაქების) 63 საკრებულოს, თბილისის საკრებულოს და თბილისის მერს, რომელიც პირველად იქნა პირდაპირი წესით არჩეული.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვა, რომელმაც 150-დან 119 მანდატი მოიპოვა. მას შემდეგ პოლიტიკური გარემო ძალზედ პოლარიზებული რჩებოდა. აპროტესტებენ რა, მათი განცხადებით, საპარლამენტო არჩევნებში არსებულ დარღვევებს, ბევრმა ოპოზიციურმა პარტიამ პარლამენტის მუშაობას ბოიკოტი გამოუცხადა. 2008 წლის შეიარაღებულმა კონფლიქტმა კიდევ უფრო გაამძაფრა პოლიტიკური

დამაბულობა. 2009 წლის აპრილში თბილისში ფართომასშტაბიანი საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა, დემონსტრანტები მოითხოვდნენ კონსტიტუციურ და საარჩევნო რეფორმებს, მედიის თავისუფლებას, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას და მათი შეფასებით პოლიტიკური პატიმრების გამოშვებას. საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფმა ერთიან საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანაზე შეთანხმებას მიაღწია, აღნიშნული ცვლილებები 2009 წლის დეკემბერში შევიდა ძალაში. მაშინ როდესაც, ზოგიერთი პარტია, რომელმაც პარლამენტის მუშაობას ბოიკოტი გამოუცხადა, პარლამენტში შესულ პარტიებთან ერთად მონაწილეობდა ამ პროცესში, მათმა უმრავლესობამ საბოლოო შეთანხმებას ხელი არ მოაწერა.

სამართლებლივი ჩარჩო და საარჩევნო სისტემა

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წესებს უპირველეს ყოვლისა საქართველოს კონსტიტუცია (რომელიც 1995 წელს იქნა დამტკიცებული და რომელშიც ბოლო ცვლილება 2010 წელს იქნა შეტანილი) და ერთიანი საარჩევნო კოდექსი (რომელიც 2001 წელს იქნა დამტკიცებული და რომელშიც ბოლო ცვლილება 2010 წელს შევიდა)¹ განსაზღვრავს. კონსტიტუცია არ შეიცავს დეტალურ დებულებებს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, და ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონს იხსენიებს. დამტკიცების შემდეგ ერთიან საარჩევნო კოდექსში მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი. მნიშვნელოვანი ცვლილებები 2009 წლის დეკემბერში იქნა შეტანილი. გათვალისწინებულ იქნა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის მიერ მანამდე გამოთქმული ზოგიერთი რეკომენდაცია. ცესკოს თავმჯდომარის დასახელებისა და არჩევის პროცედურა შეიცვალა და თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევა იქნა შემოღებული.

ერთიანი საარჩევნო კოდექსი ზოგადად ადეკვატურია დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად; თუმცა მასში არსებობს გარკვეული რაოდენობის უზუსტობები, შეუსაბამობები და წინააღმდეგობები. გარდა ამისა გარკვეული რაოდენობის მნიშვნელოვანი ხარვეზები რჩება. კოდექსი არ იძლევა დამოუკიდებელი კანდიდატების წარდგენის საშუალებას, რაც ეუთოსა და ევროპის საბჭოს ვალდებულებებს ეწინააღმდეგება. ის დებულებები, რომლებიც გარკვეული საჯარო მოხელეების² მიერ საარჩევნო კამპანიაში შეუზღუდავ მონაწილეობის და ასევე საარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საშუალებას იძლევა არ უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისთვის. როგორც საქართველოს

¹ ამ პროცესის მარეგულირებელი სხვა კანონებია: კანონი თვითმმართველობის შესახებ, კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსის და ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი დებულებები და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გამოცემული იურიდიული აქტები (განკარგულებები და ბრძანებულებები)

კონსტიტუცია ისე ერთიანი საარჩევნო კოდექსი კრძალავს არჩევნებში ხმის მიცემას იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სასჯელს იხდიან ციხეში, განურჩევლად ჩადენილი დანაშაულისა.

საკრებულოს წევრები შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით ოთხი წლის ვადით ირჩევიან. პროპორციული სისტემისთვის გამოყოფილი ადგილები ნაწილდება იმ პარტიებსა და კოალიციებს შორის, რომლებიც გადალახავენ ხუთპროცენტულ საარჩევნო ბარიერს (თბილისში ოთხპროცენტული ბარიერი მოქმედებს). მაჟორიტარულ ოლქებში მაჟორიტარის მანდატს მოიპოვებს ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მერებს საკრებულოები ირჩევს. თბილისის მერი პირდაპირი წესით ირჩევა. კანდიდატმა ნამდვილად ცნობილი ხმების მინიმუმ 30 პროცენტი უნდა მოაგროვოს იმისთვის, რომ ის თბილისის მერად იქნას არჩეული. ამ პირობის შესრულებლობის შემთხვევაში, ერთი თვის ვადაში დაინიშნება არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ის ორი კანდიდატი, რომლებიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებენ.

ერთიანი საარჩევნო კოდექსის მიხედვით მაჟორიტარული ოლქების საზღვრების დადგენისას ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინება მხოლოდ თბილისში უნდა მოხდეს. სხვა საკრებულოების შემთხვევაში ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების განსაზღვრისას „ტერიტორიული და ადმინისტრაციული თავისებურებები“ უნდა იქნას გათვალისწინებული³. ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული ამომრჩეველების რაოდენობა სხვადასხვა ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან ერთი და იმავე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულშიც კი, ზოგჯერ ეს განსხვავება 1,000%-აც კი აღემატება. ასეთი დიდი დევიაციები ხმის თანასწორობას არღვევს.⁴

საარჩევნო ადმინისტრაცია

ამ არჩევნების ადმინისტრირება სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა, რომელშიც შედიოდა: ცენტრალური საარჩევნო კომისია, 73

² ერთიანი საარჩევნო კოდექსის 3-ე მუხლის მიხედვით წინასწარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება შემდეგი კატეგორიის ოფიციალურ პირებს შეუძლიათ (მაშინაც კი როდესაც ისინი თავიანთ ოფიციალურ მოვალეობებს ასრულებენ): პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, მთავრობა, აჭარის და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების წევრები, აფხაზეთის და აჭარის მთავრობების ხელმძღვანელები, მინისტრების მოადგილეები, საკრებულოების წევრები და აღმასრულებელი ორგანოების უფროსები.

³ ერთიანი საარჩევნო კოდექსის 112-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი.

⁴ 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.3-ე პარაგრაფის მიხედვით დოკუმენტზე ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულიყვნენ იღებენ უზრუნველყოფნ ზრდასრული მოქალაქეები საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებით. ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის 2.2-ე პარაგრაფი იძლევა რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც: „ნორმიდან დასაშვები გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, ხოლო განსაკუთრებულ გარემოებებში აღნიშნული გადახრა 15%-ს არ უნდა აღემატებოდეს“.

საოლქო საარჩევნო კომისია და 3,621 საუბნო საარჩევნო კომისია. გარდა ამისა, გაიხსნა 74 სპეციალური საუბნო საარჩევნო უბანი, რომლებშიც ხმა უნდა მიეცათ სამხედროებს და პოლიციელებს, გარდა ამისა ეს სპეციალური საუბნო საარჩევნო უბნები წინასწარი დაკავების იზოლაციურებში და საავადმყოფოებში გაიხსნა. ერთიანი საარჩევნო კოდექსის მიხედვით ყველა საარჩევნო კომისიას 13 წევრი ჰყავს, 7 მათგანს ის კვალიფიციური პარტიები ასახელებენ, რომლებსაც სახელმწიფო დაფინანსება ეკუთვნით.

მთლიანობაში საარჩევნო კომისიებმა ეს არჩევნები პროფესინალურად წარმართეს. ცესკო ყოვლისმომცველი მრავალპარტიული მუდმივმოქმედი ორგანოა. ცესკოს თავმჯდომარე ცესკოს ოპოზიციური წევრების მიერ ირჩევა იმ სამი კანდიდატისგან, რომლებსაც პრეზიდენტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგად წარმოადგენს. ცესკოს ახალი თავმჯდომარე 2010 წლის იანვარში იქნა არჩეული პარლამენტის მიერ მას შემდეგ რაც წარმოდგენილი სამი კანდიდატურიდან ვერც ერთმა ვერ მოიპოვა ცესკოს ოპოზიციონერი წევრების ხმების უმრავლესობა.

ცესკოს საქმიანობა მთლიანობაში გამჭირვალე და ყოვლისმომცველი იყო; ცესკოს სხდომები კოლეგიალურ ატმოსფეროში ტარდებოდა. ცესკოს თავმჯდომარე ცდილობდა ყველა საკითხზე მიეღწია კონსენსუსისთვის. ცესკომ სამაუწყებლო მედიის მეშვეობით ამომრჩევლებისთვის განკუთვნილი ფართომასშტაბიანი საგანმანათლებლო კამპანია აწარმოა. ცესკოს ვებსაიტის ქართული ვერსია ინფორმაციული იყო და რეგულარულად ახლდებოდა, რაც პროცესს გამჭირვალვას მატებდა.

საოლქო საარჩევნო კომისიები მუდმივმოქმედი ორგანოებია, ხუთი მუდმივი წევრით, რომლებსაც ცესკო ირჩევს. ამ ხუთ წევრს საარჩევნო პერიოდისთვის 8 წევრი დაემატა, 7 მათგანი პოლიტიკური პარტიების მიერ იქნა დანიშნული ხოლო 1 ცესკოს მიერ. საუბნო საარჩევნო კომისიები დროებითი ორგანოებია, რომლებიც ყოველი არჩევნებისთვის თავიდან იქმნება. საარჩევნო საკითხებში ჩართული რამდენიმე მხარის შეფასებით ზოგიერთ პარტიას, რომლებსაც საუბნო საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლები დანიშვნის უფლება აქვთ, არ გააჩნდათ საკმარისი რესურსები, რომ ყველა საუბნო საარჩევნო კომისიაში დაენიშნათ საკუთარი წარმომადგენლები. გარდა ამისა პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ხშირად იცვლებოდნენ. ერთიან საარჩევნო კოდექსში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებების თანახმად საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნები ამ კომისიების ოპოზიციონერი წევრების მიერ საკუთარი რიგებიდან იყვნენ არჩეული. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები მიესალმნენ ამ სიახლეს და ამან საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობა კიდევ უფრო გამჭირვალე და ყოვლისმომცველი გახადა. ოპოზიციური პარტიების ადგილობრივი წარმომადგენლების განცხადებით რამოდენიმე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მათ მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ წევრებზე ზეწოლას, დაკავებული თანამდებობების დატოვების მოთხოვნით. ორ

შემთხვევაში აღნიშნული ბრალდებები OSCE/ODIHR-ის გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ იქნა დადასტურებული.

ცესკომ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს ინტენსიური ტრენინგები ჩაუტარა, აღნიშნული ტრენინგები OSCE/ODIHR-ის დამკვირვებლების მიერ პოზიტიურად იქნა შეფასებული. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს, როგორც ჩანს, მთლიანობაში გათვითცნობიერებული ჰქონდათ საკუთარი მოვალეობები.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ცესკო ამომრჩეველთა ცენტრალიზებული რეესტრის უზრუნველყოფაზე არის პასუხისმგებელი. ბოლო რამოდენიმე თვის განმავლობაში საარჩევნო ადმინისტრაციამ ისევე როგორც პოლიტიკურმა პარტიებმა დიდი ძალისხმევა გაწიეს ამომრჩეველთა სიების გადასამოწმებლად და გასაუმჯობესებლად. ამ არჩევნების წინ პოლიტიკურმა პარტიებმა სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს სიების გადამოწმებისთვის. ამომრჩევლებს საკმარისი დრო და ინფორმაცია მიეცათ საკუთარი მონაცემების სიებში გადასამოწმებლად. გადამოწმების შედეგად ამომრჩეველთა სიებში მნიშვნელოვანი რაოდენობის შესწორებები იქნა შეტანილი, რამაც, როგორც ჩანს, სიების ხარისხი გააუმჯობესა. პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი 239,752 შესწორებიდან, ცესკომ 35,164 შესწორება დაამტკიცა. პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი შესწორებების ძირითადი ნაწილის მიხედვით ამომრჩეველთა მისამართები არასწორად იყო მითითებული, ამომრჩევლები არ ცხოვრობდნენ მითითებულ მისამართებზე ან ისინი უკვე დიდი ხანია საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ. გარდა ამისა ცესკოს განცხადებით სიებში 302,558 შესწორება იქნა შეტანილი მას შემდეგ რაც 14 მაისამდე განხორციელდა ამომრჩეველთა სიების გადამოწმება ძირითადად საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ. რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3,544,770 ამომრჩეველს უდრიდა.

ერთიან საარჩევნო კოდექსში, სხვა ცვლილებებთან ერთად, შეტანილი იქნა შეზღუდვები მოქალაქეთა ზოგიერთი კატეგორიისთვის ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემის უფლებასთან დაკავშირებით. ეს ცვლილება განხორციელდა ოპოზიციური პარტიების მიერ გამოთქმული შიშის საპასუხოდ, რომელიც შესაძლო საარჩევნო კანონდარღვევებს შეეხება. ერთიანი საარჩევნო კოდექსის გარდამავალი დებულების მიხედვით იმ 13,153 ამომრჩეველს, რომლებმაც 2010 წლის 15 იანვრის შემდეგ შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაცია, აეკრძალათ ახალ საცხოვრებელ ადგილზე არჩევნებში მონაწილეობა; მათ მხოლოდ ძველ საცხოვრებელ ადგილას შეეძლოთ ხმის მიცემა.

14 მაისის მდგომარეობით ბინათმესაკუთრეთა განცხადების საფუძველზე 11,281 ამომრჩეველს მოიხსნა რეგისტრაციიდან სამოქალაქო რეესტრში, რადგან ბინათმესაკუთრეთა განცხადებებით ეს ადამიანები რეალურად არ ცხოვრობდნენ აღნიშნულ მისამართებზე. ხანგრძლივი განხილვების შედეგად 2 მაისს ცესკომ

გადაწყვიტა, რომ აღნიშნულ ამომრჩევლებს შეეძლოთ საკრებულოს პროპორციულ არჩევნებში მონაწილეობა (თბილისში კი თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობა) იმ შემთხვევაში, თუ ისინი 14 მაისამდე გაივლიდნენ რეგისტრაციას იმ უბანში, სადაც ისინი ბოლოს იყვნენ რეგისტრირებულნი. საბოლოო ჯამში მხოლოდ 187 ამომრჩეველი დარეგისტრირდა აღნიშნულ საოლქო საარჩევნო კომისიებში. ცესკოს თავმჯდომარის შეფასებით ასეთი დაბალი მაჩვენებელი უბრალოდ ამომრჩევლების პასიურობით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებთან საუბარში გამოითქვა აზრი, რომ ცესკოს მიერ ამ მხრივ გავრცელებული ინფორმაცია საკმარისი არ იყო.

ამომრჩეველთა სიებში აღმოჩნდა 47,793 ამომრჩეველი, რომელთა მისამართები სხვადასხვა მიზეზების გამო არასრულად იყო მითითებული, აქედან 29,775 ამომრჩეველი თბილისში იყო რეგისტრირებული. რადგან ასეთი ამომრჩევლების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები ძირითად შემთხვევებში მხოლოდ მათ მუნიციპალიტეტების სახელებს შეიცავდა, მათი კონკრეტულ უბანზე მიწერა შეუძლებელია. ამ ამომრჩევლებს მხოლოდ საკრებულოების პროპორციულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ (თბილისში კი თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობის უფლება).

ამომრჩეველთა სიებში ის მოქალაქეები, რომლებმაც საქართველო 2010 წლის 1 იანვრამდე დატოვეს და 14 მაისამდე არ დაბრუნებულან, აღნიშნული არიან როგორც საზღვარგარეთ მყოფი. ხმის მისაცემად ასეთმა ამომრჩევლებმა უნდა წარმოადგინონ პასპორტი ქვეყანაში შემოსვლის შტამპით. ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა საუბნო საარჩევნო კომისიებს მიუთითეს ამომრჩეველთა სიებში აღნიშნათ ის ადამიანები, რომლებმაც დატოვეს საქართველო, თუ მათ ასეთი ადამიანების შესახებ ჰქონდათ ინფორმაცია. თუმცა იმის გამო რომ ამ პროცედურის შესრულების კონკრეტული წესები არ არსებობს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებმა აღნიშნული მითითება არათანმიმდევრულად შეასრულეს.

სამხედროების და პოლიციელების მიერ ხმის მიცემის პროცესმა საკმაოდ დიდი დავა გამოიწვია. ერთიანი საარჩევნო კოდექსი კონკრეტულად არ განსაზღვრავს ამ ამომრჩევლების მიერ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის მიღების პირობებს⁵. წინასაარჩევნო პერიოდში ცესკომ დაადგინა რომ ამომრჩევლები, რომლებიც მათი მუდმივი საცხოვრებლიდან მოშორებით მსახურობენ, შესაძლებლობა ექნებოდათ მონაწილეობა მიეღოთ როგორც მაჟორიტარულ ისე პროპორციულ არჩევნებში (ხოლო თბილისში კი თბილისის მერის არჩევნებში). 29 მაისს მას შემდეგ რაც თბილისის საქალაქო სასამართლოში შევიდა განცხადება, რომლის მიხედვითაც შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებულ ამომრჩეველთა სპეციალურ სიებში დარღვევები იყო დაფიქსირებული,

⁵ კოდექსის მიხედვით გაურკვეველია ასეთი პირები არჩევნების დღემდე ერთი წლის განმავლობაში კონკრეტულ ადგილას უნდა მსახურობდნენ თუ ამ ადგილზე უნდა იყვნენ განაწილებული იმისათვის რომ მათ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღონ.

სასამართლომ დაადგინა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში დარეგისტრირებული დაახლოებით 17,000 მოსამსახურე მხოლოდ პროპორციულ არჩევნებში შეძლებდნენ მონაწილეობის მიღებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება არ წარმოუდგენია.

სამხედრო და სხვა გასამხედროებულ ნაწილებში მომსახურე პირებს, რომლებიც თავიანთი მუდმივი საცხოვრებლისგან მოშორებით მსახურობენ, საშუალება მიეცათ სპეციალურ საარჩევნო უბნებზე მიეცათ ხმა. ცესკომ აუწყა OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას, რომ ყველა ასეთ ამომრჩეველს მაჟორიტარულ და პროპორციულ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება ექნებოდა. თუმცა ერთიანი საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლის მე-10 პუნქტში მოცემული პირობები, რომელთა საფუძველზეც იმ პირებს, რომლებიც მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით მსახურობენ, მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება ეძლევათ, ნათლად არ არის განსაზღვრული⁵.

პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაცია

კანდიდატების და პარტიული სიების არჩევნებში წარსადგენად პოლიტიკურმა პარტიებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ ცესკოში. არასაპარლამენტო პარტიებს და იმ პარტიებს, რომლებიც წინა საპარლამენტო არჩევნებში არ მონაწილეობდნენ, რეგისტრაციის გასავლელად ასევე უნდა წარმოედგინათ 30,000 მხარდამჭერის ხელმოწერა. ვადის ამოწურვამდე ცესკოს რეგისტრაციისთვის სულ 36 პარტიამ მიმართა. მათგან 26-ის რეგისტრაცია მოხდა, აქედან ორმა პარტიამ შემდგომში რეგისტრაცია თავად მოიხსნა.⁶ ათ პარტიას კანონის საფუძველზე უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, რადგან მათ არასაკმარისი რაოდენობის ხელმოწერები წარმოადგინეს. ცესკოში რეგისტრირებულმა ათმა პოლიტიკურმა პარტიამ სამი საარჩევნო ბლოკი შექმნა.

ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ, რომელმაც 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარლამენტში შესული ოპოზიციური პარტიებიდან ყველაზე მეტი საპარლამენტო მანდატი მოიპოვა, ორ სხვა პარტიასთან ერთად საარჩევნო ბლოკი შექმნა. პარლამენტს გარეშე მყოფმა პარტიებმა ორი საარჩევნო ბლოკი შექმნეს. „ალიანსი საქართველოსთვის“ ოთხ პარტიას აერთიანებს, მათ შორისაა „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები“, რომლის ლიდერი საქართველოს ყოფილი ელჩი გაეროში ირაკლი ალასანია თბილისის მერობის კანდიდატია ამ ბლოკიდან. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სამი პარტიისგან შექმნილი „ეროვნული საბჭოს“ საარჩევნო ბლოკის წამყვანი ფიგურაა, ამ ბლოკის თბილისის მერობის კანდიდატი კონსერვატიული პარტიის ლიდერი ზვიად ძიძიგურია.

⁵ კოდექსის მიხედვით გაურკვეველია ასეთი პირები არჩევნების დღემდე ერთი წლის განმავლობაში კონკრეტულ ადგილას უნდა მსახურობდნენ თუ ამ ადგილზე უნდა იყვნენ განაწილებული იმისათვის რომ მათ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღონ.

⁶ მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის და ქართული დასი

თბილისის მერის არჩევნებზე სულ 9 კანდიდატი იყო დარეგისტრირებული. სულ მოხდა 4,078 მაჟორიტარი კანდიდატის რეგისტრაცია 1,025 ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქში. სულ მაჟორიტარობის კანდიდატების 4.5%-მა რეგისტრაციის შემდგომ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.⁷ ზოგიერთ მაჟორიტარულ ოლქში კონკურენცია მცირე იყო და მხოლოდ რამდენიმე კანდიდატი იყრიდა კენჭს. ზოგიერთ მაჟორიტარულ ოლქში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს კონკურენტები საერთოდ არ ჰყავდათ.⁸

სულ 419 პროპორციული პარტიული სიები იქნა რეგისტრირებული. ზოგიერთი პროპორციული პარტიული სია მოგვიანებით რეგისტრაციიდან იქნა მოხსნილი, რადგან რამოდენიმე კანდიდატის მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შემდეგ დარჩენილი კანდიდატების რაოდენობა 10-ზე ნაკლები გახდა იმ დროს როცა თითოეულ პარტიას საარჩევნო სიაში მინიმუმ 10 ადამიანი უნდა ჰყავდეს იმისთვის, რომ სია რეგისტრირებული იყოს. ცესკო აღარ ამოწმებს პარტიული სიების სინამდვილეს მას შემდეგ რაც საოლქო საარჩევნო კომისიები ამ სიების რეგისტრაციას ახდენენ; ამიტომ არჩევნების მნიშვნელოვანი ასპექტი დაურეგულირებელი დარჩა.

საარჩევნო გარემო

წინასაარჩევნო კამპანია ძირითადად მშვიდ ატმოსფეროში ჩატარდა და კანდიდატებს თავისუფალი კამპანიის ჩატარების და თავისუფლად შეკრების საშუალება ჰქონდათ. წინასაარჩევნო კამპანია დიდი ქალაქების გარეთ შედარებით ნაკლები ინტენსივობით გამოიჩინა, თუმცა არჩევნებამდე ორი კვირით ადრე რეგიონებში წარმოებული კამპანია შედარებით გამოცოცხლდა. ძირითადი აქცენტი თბილისის მერის არჩევნებზე იყო გადატანილი. წინასაარჩევნო კამპანია ძირითადად ელექტორატთან შეხვედრებისგან შედგებოდა, ამ შეხვედრებს ხშირად ესწრებოდნენ ადგილობრივი კანდიდატები ისევე როგორც პარტიების წამყვანი ფიგურები. კანდიდატების უმრავლესობის კამპანია კონკრეტულ თემებს ეხებოდა. რამოდენიმე პარტიის და ბლოკის ძირითადი წინასაარჩევნო თემა დასაქმება იყო. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ხაზს უსვამდა სოციალური დახმარებების ზრდას და გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურას. „ალიანსი საქართველოსთვის“ ძირითად ყურადღებას სოციალურ პროგრამებს უთმობდა, მათ შორის პენსიებს და ოჯახებისთვის სოციალურ დახმარებებს. ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ ძირითადი აქცენტი კომუნალური მომსახურების ტარიფების დაწევაზე გააკეთა. ამ პარტიებისგან განსხვავებით „ეროვნული საბჭო“ მთავარ აქცენტს წინასაარჩევნო პერიოდში მათ მიერ დაფიქსირებულ სავარაუდო დარღვევებზე აკეთებდა.

⁷ ამბროლაურის რაიონში 63 მაჟორიტარული კანდიდატიდან 11-მა მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, ხოლო დუშეთის რაიონში 71 კანდიდატიდან 14-მა მოხსნა საკუთარი კანდიდატურა.

⁸ მაგალითად წალკაში (ქვემო ქართლის რეგიონი) 30 ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქიდან ექვსში მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატები იყვნენ რეგისტრირებული.

წინასაარჩევნო პერიოდში ჰქონდა ადგილი რამოდენიმე იზოლირებულ შემთხვევებს, რომელთა დროს ძალადობას ჰქონდა ადგილი, მათ შორის იყო 6 მაისს პოლიციასთან მომხდარი შეტაკება, რასაც ადგილი ჰქონდა ოპოზიციის მიერ ორგანიზებული დემონსტრაციის დროს. საარჩევნო პოსტერების გაკვრასთან დაკავშირებით რამოდენიმეჯერ დაპირისპირებას და გაურკვევლობას ჰქონდა ადგილი. 6 მაისს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოსტერების გაკვრასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დაპირისპირების დროს ბატონმა ძიძიგურმა რამოდენიმეჯერ გაისროლა ჰაერში. „ალიანსმა საქართველოსთვის“ საჩივარი შეიტანა ცესკოში თბილისში მათი საარჩევნო პოსტერების გაფუჭებისთვის და ასევე მათ პოსტერებზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოსტერების გადაკვრის გამო. პირველი საჩივრის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარემ დაადგინა რომ დარღვევას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, ხოლო მეორე საჩივრის გამოძიება არ მომხდარა. „ეროვნული საბჭოს“ კანდიდატი დაჯარიმებული იქნა ოზურგეთში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოსტერების ჩამოხვეისთვის.

ბევრი კანდიდატი აცხადებდა, რომ მათი ნდობა საარჩევნო პროცესის მიმართ დაბალი იყო. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ განცხადებები მიიღო დარღვევების შესახებ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისგან და არასამთავრობო ორგანიზაციისგან, სხვა დარღვევებს შორის ამ განცხადებების მიხედვით ხდებოდა ზეწოლა კანდიდატებზე მათ მიერ საკუთარი კანდიდატურების არჩევნიდან მოხსნის მიზნით. ამგვარი განცხადებების ყოველთვის დადასტურება ვერ ხერხდებოდა და ზოგ შემთხვევაში ეს განცხადებები ყალბი აღმოჩნდა. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა დაადგინეს რომ ეს განცხადებები სანდო იყო. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში „ეროვნული საბჭოს“ ერთ-ერთ კანდიდატს (ექიმს) მისმა უფროსმა განუცხადა, რომ თუ ის საკუთარ კანდიდატურას არ მოხსნიდა მაშინ მას არჩევნების შემდეგ სამსახურიდან გაანთავისუფლებდნენ.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისმა სამთავრობო სამუშაო ჯგუფმა, რომელიც სხვადასხვა სამინისტროს და სამთავრობო უწყების წარმომადგენლებისგან შედგება, შეეცადა ამ საჩივრებზე რეაგირება მოეხდინა. მესტიაში (სამეგრელო-ზემო-სვანეთის რეგიონი) პარტია „თავისუფლების“ კანდიდატებზე განხორციელდა ზეწოლა, რათა მათ საკუთარი კანდიდატურები მოეხსნათ. უწყებათაშორისმა სამთავრობო სამუშაო ჯგუფმა აცნობა არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას იმის შესახებ, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით საქმე იქნა აღძრული პროკურატურაში. ამ ინციდენტის შემდეგ რეგიონის გუბერნატორი, რომელიც დადანიშნულს იყო ამ ინციდენტში მონაწილეობაში, შვებულებაში გავიდა. „ალიანსი საქართველოსთვის“ ორ კანდიდატს რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო ქართლში, რომლებსაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერმა კანდიდატურების მოხსნა მოსთხოვა, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი დაუკავშირდა და დაამშვიდა.

ზოგიერთი ოპოზიციური პარტია აცხადებდა, რომ პოლიტიკურ ზეწოლას ყოველმომცველი ხასიათი ჰქონდა, მათი განცხადებით სახელმწიფო ორგანოებში დასაქმებულები და მათი ოჯახის წევრები ერიდებოდნენ ოპოზიციასთან ასოცირებას, რადგან მათ სამსახურის დაკარგვის ეშინოდათ, აღნიშნული შიში ოპოზიციური პარტიების განცხადებით ნაწილობრივ წინა არჩევნების დროს დაშინების და ზეწოლის ფაქტებიდან გამომდინარეობდა. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ მრავალი წყაროსგან მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ რომ ბიზნესმენებს გართულებების შიშით არ სურდათ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისთვის ფინანსური დახმარების გაწევა. ეს სერიოზული საკითხია იმის გათვალისწინებით რომ სხვადასხვა პარტიების ხელთ არსებული წინასაარჩევნო კამპანიისთვის განსაზღვრული ფინანსური შესაძლებლობები განსხვავებულია.

ზოგიერთმა საქმიანობამ ხელი შეუწყო საზოგადოებაში არსებული აზრის განმტკიცებას, რომლის მიხედვით სახელმწიფოს და მმართველ პარტიას შორის განსხვავების დანახვა რთულია. ერთიანი საარჩევნო კოდექსის მიხედვით საჯარო მოხელეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში თუ ისინი საკუთარ ოფიციალურ მოვალეობებს არ ასრულებენ. ბევრი საჯარო მოხელე, მათ შორის იმერეთის, კახეთის და გურიის გუბერნატორები შვებულებაში გავიდნენ რათა წინასაარჩევნო კამპანიაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ მიეღოთ მონაწილეობა. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მოისმინეს განცხადებები, რომელთა მიხედვით ზოგიერთ რაიონში მუნიციპალური ორგანოები თანამშრომლების ნაკლებობას განიცდიდნენ, რადგან ისინი მასიურად გავიდნენ შვებულებაში. გურჯაანში (კახეთის რეგიონი) მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ოფიციალური პირები, რომლებიც შვებულებაში იყვნენ, თავიანთ ოფიციალურ ფუნქციებს ასრულებდნენ, მათ შორის ისინი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისში ადამიანებს სოციალური დახმარების მისაღებად საჭირო განცხადებების შევსებაში ეხმარებოდნენ. თბილისის მერიის მიერ წარმოებული საზოგადოებრივი კამპანია, რომლის სლოგანი იყო „მე მიყვარს თბილისი“ და რომელიც ამ არჩევნების გამოცხადებამდე იქნა ინიცირებული, შემდგომში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ თბილისში წარმოებული წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი გახდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებმა გააფრთხილეს საჯარო მოხელეები დაეცვათ ერთიანი საარჩევნო კოდექსის დებულებები და არ გამოეყენებიათ ადმინისტრაციული რესურსები.

არჩევნების გამოცხადების დღიდან კანონით იკრძალება იმ საქმიანობების განხორციელება, რომლებიც მანამდე ბიუჯეტში არ ყოფილა გაწერილი. მას შემდეგ რაც OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ მოისმინა ბევრი ბრალდება იმის შესახებ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი მთავრობის მიერ გაწეული ხარჯების მკვეთრი ზრდა მოხდა OSCE/ODIHR-ის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა გადაამოწმეს მუნიციპალური ბიუჯეტები და

დაადასტურეს, რომ ასეთ პროცესებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი. სიღნაღში (კახეთის რეგიონი) 2010 წლის ბიუჯეტიდან კულტურულ ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხების 90% აპრილში იქნა დახარჯული. 2009 წელს დროის იგივე პერიოდში ამგვარ მატებას ადგილი არ ჰქონია. თელავში (კახეთის რეგიონი) აპრილის განმავლობაში სოციალურ დახმარებებზე ხარჯები ორჯერ აღემატებოდა წინა სამი თვის ხარჯების ჯამს.

მედია

საქართველოს მრავალფეროვანი მედია გარემო გააჩნია, ამასთან მედია საშუალებები პოლიტიკური ნიშნით არიან დაყოფილი. ბევრი მედია საშუალება მათი მფლობელების ძლიერ ზეგავლენას განიცდის. მედიის მფლობელების გაუმჭირვალეობა პრობლემატური საკითხია, განსაკუთრებით იმ ბრალდებების ფონზე, რომელთა მიხედვით ზოგიერთი სახელმწიფო ოფიციალური პირი ირიბად არის დაკავშირებული ზოგიერთ ნაციონალურ და ადგილობრივ მაუწყებელთან.

მთელი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლები ეთერში უშვებდნენ არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროგრამებს და თოქ-შოუებს. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ორი ტელედებატი გადასცა ეთერში, პირველ დებატებში მონაწილეობდნენ ხუთი „კვალიფიცირებული“ საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი კანდიდატები, ხოლო მეორე დებატებში მონაწილეობდნენ დანარჩენი ოთხი კანდიდატი, რომლებიც „არაკვალიფიცირებული“ საარჩევნო სუბიექტების მიერ იყვნენ დასახელებული.⁹ ამგვარი გადაცემების საშუალებით ამომრჩევლებს კანდიდატების ერთმანეთთან შედარების და უფრო ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება მიეცათ. ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ძალიან მაღალმა საფასურმა კანდიდატების მიერ ტელევიზიით კამპანიის ჩატარების შესაძლებლობა შეზღუდა. ძირითადად სატელევიზიო არხებმა ფასიანი პოლიტიკურ რეკლამას დაახლოებით ათჯერ დიდი ფასი დაადეს ვიდრე ჩვეულებრივ კომერციულ რეკლამას. ამის შედეგად კანდიდატებმა ინტენსიურად გამოიყენეს უფასო რეკლამისთვის გამოყოფილი სარეკლამო დრო როგორც საზოგადოებრივ ისე კერძო მაუწყებლებში. საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისი ახალი ამბების გამოშვებებში საკუთარ მაყურებელს წინასაარჩევნო კამპანიის მთლიანობაში დაბალანსებულ სურათს აწვდიდა. თუმცა მონიტორინგს დაქვემდებარებული სხვა ტელესადგურების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას აკლდა ბალანსი, ზოგიერთი მათგანი მხარს უჭერდა ხელისუფლებას და ზოგიერთი კი ოპოზიციას.

⁹ ის პოლიტიკური პარტიები ან ბლოკები, რომლებიც წარმოდგენილი არიან პარლამენტში ფრაქციის სახით ან რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე პროპორციული წესით ამომრჩეველთა ხმების სულ ცოტა 4% მიიღეს ან ბოლო ადგილობრივ არჩევნებზე პროპორციული წესით ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა ხმების სულ ცოტა 3% მიიღეს, „კვალიფიცირებულ“ საარჩევნო სუბიექტებად ითვლებიან. უფასო სარეკლამო დროის მისაღებად „არაკვალიფიცირებულმა“ საარჩევნო სუბიექტებმა საზოგადოების მხარდაჭერის დემონსტრირება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით უნდა მოახდინონ.

ეს არ შეესაბამება კანონს მაუწყებლობის შესახებ, რომელიც მაუწყებლებს მოუწოდებს რომ თავიანთ საინფორმაციო გამოშვებებში ყველა რელევანტური ახალი ამბავი დისკრიმინაციის გარეშე და პლურალისტურად გააშუქონ.¹⁰ მონიტორინგს დაქვემდებარებული ტელესადგურების უმრავლესობამ¹¹ დიდი დრო დაუთმო ხელისუფლების მიერ წარმოებული საქმიანობის პოზიტიურად გაშუქებას (აღნიშნული საქმიანობა არჩევნებთან დაკავშირებული არ ყოფილა), რამაც ირიბად სარგებლობა მოუტანა სახელისუფლებო კანდიდატებს. სახელმწიფო ოფიციალური პირების საქმიანობის პოზიტიურად წარმოჩინების აქტიური ტენდენცია შეიმჩნეოდა, ხშირად ხდებოდა ხელისუფლების მიერ მიღწევების და წარმატებების ხაზგასმა. მედიის მიერ თბილისის მერის, პრეზიდენტის, მინისტრების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების საზეიმო ღონისძიებებზე დასწრების გაშუქება, რაც ხშირად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატების თანდასწრებით ხდებოდა, ირიბად ხელს უწყობდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიას.

წინასაარჩევნო კამპანიის ბოლო ექვსი კვირის განმავლობაში ჩატარებული მედია მონიტორინგის განმავლობაში საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა მისი პოლიტიკური და წინასაარჩევნო ახალი ამბების 14% დაუთმო ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 15% კი „ალიანსს საქართველოსთვის“. ხარისხობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ნაციონალური მოძრაობა ოდნავ უფრო პოზიტიურად იქნა წარმოჩენილი ვიდრე „ალიანსი საქართველოსთვის“. ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებების 14% დაიკავა, ხოლო „ეროვნულ საბჭოს“ 13% დაეთმო, მათი საქმიანობის გაშუქება ძირითადად ნეიტრალურ ტონში ხდებოდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხმა ყველა პოლიტიკურ პარტიას დაუთმო დრო და მოახდინა მათი წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება.

ამჟამად ყველაზე პოპულარულმა ორმა სატელევიზიო არხმა „რუსთავი 2“-მა და „იმედი“ მმართველი პარტიის და ნაციონალური მოძრაობის თბილისის მერობის კანდიდატის მიმართ მხარდაჭერის დემონსტრირება მოახდინა. „რუსთავი 2“-მა თავისი პოლიტიკური და არჩევნებისადმი მიძღვნილი ახალი ამბების 59% ხელისუფლების და მმართველი პარტიის საქმიანობის გაშუქებას დაუთმო, აქედან: პრეზიდენტს (22%), მთავრობას (14%), ადგილობრივ ხელისუფლებას (6%) და ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას (17%). „რუსთავი 2“-ის მიერ ხელისუფლების საქმიანობის გაშუქება უაღრესად პოზიტიური იყო. შედარებისთვის „ალიანსს საქართველოსთვის“ და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას „რუსთავი 2“-მა

¹⁰ მაუწყებლობის შესახებ კანონის 54-ე მუხლი. გარდა ამისა მაუწყებელთა ქცევის კოდექსი მოუწოდებს მაუწყებლებს „კვალიფიცირებული საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში წარმოებული საქმიანობის დაბალანსებულ და სრულ გაშუქებას“.

¹¹ OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისია შემდეგი ტელეარხების მუშაობის მონიტორინგი ჩაატარა: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხები, რუსთავი 2, იმედი, კავკასია, მანეტრო, რეალ ტვ და აჭარა ტვ.

შესაბამისად 11% და 10% დაუთმო, ამ პარტიების საქმიანობის გაშუქება ძირითადად პოზიტიურ ტონში ხდებოდა. „იმედის“, კიდევ ერთი ნაციონალური არხის „აჭარის“ და თბილისში მაუწყებელი „რეალ ტვ“-ს მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას დაახლოებით ერთნაირი მიდგომები იქნა არჩეული. გარდა ამისა „რეალ ტვ“-მ ოპოზიციური კანდიდატების დისკრედიტირებისკენ მიმართული პროგრამებიც მოამზადა. თბილისში მაუწყებელი ტელეკომპანიები „კავკასია“ და „მაესტრო“ პირიქით ოპოზიციის (განსაკუთრებით „ალიანსი საქართველოსთვის“) პლატფორმის როლს ასრულებდნენ. გარდა ამისა ორივე არხი აკრიტიკებდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ხელისუფლებას.

ბატონმა მიძიგურმა ცესკოში იჩივლა „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის მიერ ახალი ამბების არათანაბრად გაშუქების გამო. ცესკომ განიხილა საჩივარი, თუმცა გადაწყვეტილების მიღების დრო არჩევნების შემდეგ გადადო. 27 მაისს, ამ საკითხთან მიმართებით, ცესკოს თავმჯდომარემ მოუწოდა ყველა სატელევიზიო არხს დაეცვათ „კანდიდატებს შორის საეთერო დროის თანაბრად განაწილების პრინციპი.“

ცესკომ თავადაც ჩაატარა მედია მონიტორინგი და წინასაარჩევნო პერიოდში მედია მონიტორინგის ორი ანგარიში გამოაქვეყნა. ცესკოს მიერ შერჩეული მეთოდის და ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის შედეგების ინტერპრეტირების შედეგად წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მიერ კანდიდატების გაშუქება პოზიტიურად შეფასდა და ახალი ამბების გამოშვებებში მნიშვნელოვანი დისბალანსი დაფიქსირებული არ ყოფილა.

ქალთა მონაწილეობა

საქართველოში ქალების მიერ პოლიტიკურ საქმიანობაში და არჩევნებში მონაწილეობის არც ხელისშემშლელი და არც ხელშემწყობი კანონმდებლობა არ არსებობს. კონსტიტუცია ყველა მოქალაქის თანასწორობას უზრუნველყოფს, თუმცა მასში გენდერული დებულებები არ არის დაფიქსირებული. ყველაზე მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას ეხება არის კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, ეს ჩარჩო კანონი 2010 წლის 12 აპრილს შევიდა ძალაში. ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოების მუშაობაში დაბალია. ამჟამად საქართველოს პარლამენტში ქალები 7%-ს შეადგენენ. 18 მინისტრიდან მხოლოდ ერთია ქალი მინისტრი.

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს დაფიქსირებული მონაცემები ქალი კანდიდატების რაოდენობაზე ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში და პროპორციულ სიებში ამ არჩევნებზე ფაქტიურად უცვლელი დარჩა. მაჟორიტარი კანდიდატებიდან ქალები მხოლოდ 11%-ს შეადგენდნენ, ხოლო პროპორციულ სიებში ქალთა რაოდენობა 18%-ს აღწევდა. თბილისის მერობის არცერთი კანდიდატი არ ყოფილა ქალი. არჩევნებში

მონაწილე პარტიებიდან ორი პარტიის თავმჯდომარე ქალბატონები იყვნენ¹². ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის კანდიდატი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის პოსტზე ინგა გრიგოლიას პარტიის კამპანიაში ერთ-ერთი წამყვანი როლი ეჭირა. რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციას, ცესკოს 13 წევრიდან მხოლოდ ერთია ქალბატონი, თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიებში ქალები დაახლოებით 52%-ს შეადგენდნენ. არჩევნების დღეს არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულეულ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების 52% ქალი იყო; მთლიანობაში ამ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების 67% ქალები იყვნენ.

ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა

2002 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით (რომელშიც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მონაცემები არ შესულა) ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 16.2%-ს შეადგენენ. ყველაზე დიდი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებია აზერბაიჯანელები (6.5%) და სომხები (5.7%), რომლებიც შესაბამისად ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში არიან კონცენტრირებულები. სხვა ეროვნული უმცირესობებია: რუსები, ოსები, ბერძნები, ჩეჩნები, ებრაელები, აფხაზები და ქურთები. კონსტიტუციის მიხედვით ეროვნულ უმცირესობებს სრული პოლიტიკური უფლებები გააჩნიათ. თუმცა საქართველოს არ გააჩნია ყოვლისმომცველი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო, რომლითაც უმცირესობების უფლებები უნდა იქნას დაცული. სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების მიერ გამოთქმული იქნა წუხილი იმის შესახებ, რომ ბოშებს არ გააჩნიათ პირადობის მოწმობები, მათ არ გააჩნიათ რეგისტრაცია და ამიტომ არ შეუძლიათ ხმის მიცემა.

ცესკოს განცხადებით არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალები ეროვნული უმცირესობების ენებზე იქნა დაბეჭდილი. ეროვნული უმცირესობები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი საოლქო საარჩევნო კომისიებში. სამცხე-ჯავახეთში, სადაც სომხები მოსახლეობის დაახლოებით 55%-ს შეადგენენ, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების მხოლოდ 28% იყვნენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები (და საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების მხოლოდ 40% იყო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები). ქვემო ქართლში (სადაც მოსახლეობის 45% აზერბაიჯანელებია ხოლო 6% სომხები) საოლქო საარჩევნო კომისიებში მხოლოდ ერთი ადამიანი (ბერძენი) იყო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი. ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, ქრისტიან-დემოკრატების მოძრაობამ, „ეროვნულმა საბჭომ“ და დემოკრატიულმა პარტიამ მაჟორიტარულ

¹² ესენი იყვნენ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის პარტია „საქართველოს გზა“ (რომელიც საარჩევნო ბლოკის „ალიანსი საქართველოსთვის“ ნაწილია) და ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის თავმჯდომარე მაგდალენა კოტრიკაძე (აღნიშნული პარტია ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიერ ჩამოყალიბებული ბლოკის ნაწილია).

არჩევნებზე თავიანთ კანდიდატებად ადგილობრივი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები წამოაყენეს დაახლოებით იმ პროპორციით, რომლითაც აღნიშნული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ცხოვრობენ ადგილზე. თუმცა პროპორციულ სიებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ძირითად შემთხვევებში ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ყველაზე მეტი კანდიდატურა დააყენა.

საჩივრები და განცხადებები

წინასაარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 70 საჩივარი იქნა შეტანილი, 52 საჩივარი და 8 განცხადება იქნა შეტანილი ცესკოში, 9 განცხადება იქნა შეტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოში, 4 განცხადება იქნა შეტანილი თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ერთი განცხადება იქნა შეტანილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ერთიანი საარჩევნო კოდექსი არ აწესებს არც საჩივრების შეტანის და არც მათი განხილვის კონკრეტულ ვადებს. საშუალოდ ცესკოში შეტანილი საჩივრების განხილვა მათი შეტანიდან დაახლოებით ორ კვირაში ხდებოდა. ცესკომ ვერ მოახდინა საარჩევნო დღემდე ცესკოში შეტანილი ყველა საჩივრის განხილვა. პროცედურების და კომპეტენციის შესახებ არსებულმა გაურკვევლობამ საარჩევნო კომისიებს საჩივრების განხილვების მხრივ დიდი დისკრეცია მისცა, რამაც არათანმიმდევრული პრაქტიკა გამოიწვია.

საჩივრების უდიდესი ნაწილი ადგილობრივი დამკვირვებლების და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ იქნა წარმოდგენილი. ისინი ძირითადად აცხადებდნენ, რომ ხდებოდა ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება, წინასაარჩევნო კამპანიაში იმ პირების მონაწილეობა, რომლებსაც ამისი უფლება არ ჰქონდათ და საარჩევნო მასალების გაკვრაში ხელის შეშლა. ამ საჩივრების უმრავლესობა არ იქნა მიღებული უსაფუძვლოდ ან იურიდიული საფუძვლების არ არსებობის მოტივით. ერთ-ერთ შემთხვევაში ცესკომ ისეთი ინტერპრეტირება მოახდინა, რომელიც როგორც ჩანს ეწინააღმდეგება იმ იურიდიულ დებულებებს, რომლებიც კონკრეტულ პირებს კამპანიაში მონაწილეობას უკრძალავს. ცესკომ გადაწყვიტა რომ ამ კონკრეტულ პირებს შეეძლოთ კამპანიაში მონაწილეობის მიღება იმ შემთხვევაში თუ ისინი ამომრჩევლებს აქტიურად არ მოუწოდებდნენ კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიეცათ ხმები. იმის გამო რომ საარჩევნო კოდექსი ნათლად არ განსაზღვრავს საარჩევნო კომისიების კომპეტენციას გარკვეული საჩივრები ცესკოში იქნა შეტანილი მაშინ როდესაც ეს საჩივრები იმ სავარაუდო დარღვევებს ეხებოდა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ რეგიონებში; ამან ამ კონკრეტული საჩივრების გამოძიების ეფექტურობაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. განცხადებების წარდგენის და სასამართლოების მიერ მათი განხილვის საბოლოო ვადები 2009 წლის შესწორებების მიხედვით ორი კალენდარული დღით იქნა გაზრდილი; თუმცა საარჩევნო კომისიების მიერ განცხადებების განხილვის ვადა კვლავ ერთი დღით განისაზღვრა.

მომჩივნებს და კომისიებს როგორც ჩანს კარგად არ ესმით ის დებულებები, რომლებიც საარჩევნო დავებს არეგულირებენ. მაგალითად ოპოზიციურმა პარტიებმა განცხადებების ნახევარზე მეტი ცესკოში იურიდიულად განსაზღვრული ვადების ამოწურვის შემდეგ წარადგინეს. გარდა ამისა საჩივრები და განცხადებები ხშირად შესაბამისი კომპეტენციის არ მქონე ორგანოებში შედიოდა. საოლქო საარჩევნო კომისიები ყოველთვის არ აგზავნიდნენ ხოლმე ცესკოში იმ საჩივრებს, რომელთა განხილვის კომპეტენცია მათ არ გააჩნდათ, თუმცა მათ ამის გაკეთება საერთო ადმინისტრაციული კოდექსით ევალებათ. საოლქო საარჩევნო კომისიები მათ გადაწყვეტილებებს ყოველთვის წერილობით ფორმაში არ აქვეყნებდნენ, ამის მაგივრად ისინი მომჩივნებს თავისი გადაწყვეტილებების შესახებ სიტყვიერად კონკრეტული საჩივრების განხილვისას ატყობინებდნენ, ხოლო წერილობით ამ გადაწყვეტილებებს ერთი დღის შემდეგ აქვეყნებდნენ. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამოტანილი ზოგიერთი გადაწყვეტილება იურიდიულად დასაბუთებული არ ყოფილა. ამგვარი პრაქტიკა მომჩივნებს ართმევდა იმის უფლებას რომ მოეხდინათ მათი საჩივრების ეფექტური იურიდიული განხილვა.

იმის მიუხედავად რომ არჩევნების დღემდე ბევრი ბრალდება გაისმა, რომელთა მიხედვით ოპოზიციურ კანდიდატებზე ხორციელდებოდა ზეწოლა, რათა მათ არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურები მოეხსნათ, არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით არჩევნების დღისთვის ამ შემთხვევების შესახებ პროკურატურაში მხოლოდ ორი განცხადება შევიდა. ამ საჩივრების თაობაზე გამოძიება გრძელდება.

ადგილობრივი დამკვირვებლები

ერთიანი საარჩევნო კოდექსის მიხედვით ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაზე ყველა დონეზე დაკვირვება მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში შეუძლიათ. საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობა (პარტიული თუ არაპარტიული) ადგილობრივი დამკვირვებლების დიდი რაოდენობით დარეგისტრირების შედეგად გაიზარდა. სამოქალაქო ორგანიზაციებმა¹³ დამკვირვებელთა დიდი რაოდენობის მემწეობით საარჩევნო პროცესზე გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაკვირვება მოახდინა.

არჩევნების დღე

არჩევნების დღემ მთლიანობაში მშვიდად ჩაიარა და საერთაშორისო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულეული საარჩევნო უბნების დიდ უმრავლესობაში არჩევნების პროცესი გამჭვირვალედ და კარგად იქნა

¹³ შემდეგი ორგანიზაციები ყველაზე მეტად აქტიურობდნენ: სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ახალი თაობა-ახალი ინიციატივა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო.

წარმართული. თუმცა საერთაშორისო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მონაცემებით რამდენიმეჯერ ადგილი ჰქონდა დაძაბულობას და პროცედურულ დარღვევებს, ზოგიერთი მათგანი სერიოზული ხასიათის მქონე დარღვევა იყო. ცესკომ საკუთარ ვებსაიტზე საარჩევნო უბნების შედეგების და ოქმების გამოქვეყნება 31 მაისს დაახლოებით 02:00-ზე დაიწყო. ცესკოს წინასწარი მონაცემებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 49%-მა.

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულებული საარჩევნო უბნების დიდ უმრავლესობაში არჩევნების დაწყების პროცედურები პოზიტიურად შეფასდა. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ზოგიერთი პროცედურული ხარვეზი დააფიქსირეს. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მათ მიერ მონახულებულ საარჩევნო უბნების 96%-ში ხმის მიცემის პროცესი კარგად ან ძალიან კარგად შეაფასეს. რეგიონების მიხედვით ამ მონაცემებში გარკვეული ცვლილებები შევიდა, მაგალითად კახეთში, სამცხე-ჯავახეთში და შიდა ქართლში ხმის მიცემი პროცესი ნეგატიურად შეფასდა იმ საარჩევნო უბნების 10%-ში, რომლებშიც არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები იმყოფებოდნენ. საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობა ისევე როგორც საუბნო საარჩევნო კომისიების და ამომრჩეველების მიერ პროცედურების ცოდნა და პროცესის გამჭვირვალობა პოზიტიურად შეფასდა იმ საარჩევნო უბნების უმრავლესობაში სადაც არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები იმყოფებოდნენ.

ყველაზე ხშირად დაფიქსირებული პროცედურული დარღვევა ეხებოდა მარკირებას, რაც ერთი და იგივე ადამიანის მიერ ხმის რამოდენიმეჯერ მიცემის აღკვეთისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. იმ საარჩევნო უბნების 9%-ში, რომლებშიც დამკვირვებლები იმყოფებოდნენ, ყველა ამომრჩევლის მარკირების შემოწმება არ ხდებოდა, ხოლო საარჩევნო უბნების 7%-ში ყველა ამომრჩევლის მარკირება არ ხდებოდა, ხოლო ოთხ საარჩევნო უბანზე იმ ამომრჩევლებს, რომლებსაც უკვე ჰქონდათ მარკირება მაინც დართეს ხმის მიცემის უფლება. სხვა დარღვევებს შორის იყო შემთხვევები როდესაც საარჩევნო ყუთები სწორად არ იყო დალუქული (7%), ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველების ერთი შეხედვით იდენტური ხელმოწერები (6%), ჯგუფურად ხმის მიცემა (7%), მრავალჯერადი ხმის მიცემა (1%), სხვის მაგივრად ხმის მიცემა (1%) და ერთი და იგივე ადამიანის მიერ ამომრჩეველებისთვის ხმის მიცემაში „დახმარების გაწევა“ (2%). 12 საარჩევნო უბანზე არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა დააფიქსირეს იმის ნიშნები, რომ ამ უბნებზე სავარაუდოდ აარჩევნო ყუთებში ბიულეტენების ჩაყრა მოხდა. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ შემოწმებული საარჩევნო უბნების 6%-ში ყველა ამომრჩეველი ხმის მიცემის ფარულობას არ იცავდა. შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს ზოგიერთ საარჩევნო უბანზე შესვლა არ შეეძლოთ, რადგან ამ უბნებს შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ გააჩნდათ.

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ამომრჩევლების დაშინების 8 შემთხვევა დააფიქსირეს. ბევრმა დამკვირვებელმა დააფიქსირა პარტიული აქტივისტები, რომლებიც აფიქსირებდნენ იმას თუ რომელი ამომრჩეველი მოვიდა ხმის მისაცემად ან რომლებიც აცხადებდნენ, რომ ისინი ეგზიტპოლებს ატარებდნენ; იმ აქტივისტების უმრავლესობა, რომელთა იდენტიფიცირებაც მოხერხდა, ამ საქმიანობას ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის ატარებდა.

პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლები არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ შემოწმებული საარჩევნო უბნების 96%-ში იმყოფებოდნენ, ხოლო ადგილობრივი დამკვირვებლების წარმომადგენლები ჩვენს მიერ მონახულეული საარჩევნო უბნების 81%-ში იმყოფებოდნენ. შესაბამისი უფლებამოსილების არ მქონე პირები, დაცვის სამსახურის წარმომადგენლების ჩათვლით, ჩვენს მიერ მონახულეული საარჩევნო უბნების 6%-ში იმყოფებოდნენ, მხოლოდ საარჩევნო უბნების 11%-ში დაფიქსირდა მათ მიერ საარჩევნო პროცესში ჩარევის ან წარმართვის ფაქტები.

ხმების დათვლის პროცესი უფრო ნეგატიურად შეფასდა, საშუალოდ ხუთიდან ერთ შემთხვევაში ხმების დათვლის პროცესი შეფასდა როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი, ხმების დათვლის პროცესის 25%-ზე მეტი ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი პროცედურული შეცდომებით და დარღვევებით. საკმაოდ ბევრ საუბნო საარჩევნო კომისიებში კანონით მოთხოვნილი ხმების დათვლის ძირითადი პროცედურები არ შესრულდა, მაგალითად ისეთი პროცედურები როგორებიცაა ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების ან გამოუყენებელი ბიულეტენების დათვლა და შედეგების ოქმებში შეტანა. ხმის დათვლის დროს ბევრ შემთხვევაში ამომრჩევლების მიერ გაკეთებული არჩევანი ხმამაღლა არ ყოფილა გამოცხადებული, ხოლო უმეტეს შემთხვევაში შევსებულ ბიულეტენებს ყველა დამსწრეს არ აჩვენებდნენ. ბიულეტენების სინამდვილა ყოველთვის გონივრულად და თანმიმდევრულად არ იყო ხოლმე განსაზღვრული. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ხშირად აფიქსირებდნენ ხმის დათვლის პროცესში მონაწილე პირებს, რომლებიც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები არ იყვნენ, მათ ასევე დააფიქსირეს ამომრჩეველთა სიებში მონაცემების, შედეგების ან ოქმების ფალსიფიცირების სამი შემთხვევა.

საშუალოდ 5 საუბნო საარჩევნო კომისიიდან ერთში დაფიქსირდა პრობლემები შედეგების ოქმების შევსებასთან დაკავშირებით. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა 7 შემთხვევა დააფიქსირეს, როდესაც შედეგების ოქმები წინასწარ იყო ხელმოწერილი. საუბნო საარჩევნო კომისიების ერთ მესამედზე მეტში ოქმები არ გამოქვეყნებულა, მიუხედავად იმისა რომ ამას კანონი ითხოვს, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების თითქმის 50%-მა ხმის დათვლის ოქმები შევსებისთანავე არ გადააგზავნა ცესკოში.

იმ 53 საოლქო საარჩევნო კომისიიდან, რომელთა მუშაობასაც აკვირდებოდნენ არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები, 5-ში

წარმოებული ხმების შეჯამების პროცესი ნეგატიურად შეფასდა. პრობლემებს შორის აღინიშნა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შედეგების ოქმების შევსება საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში ან ამ ოქმებში შესწორებების შეტანა ამ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ფორმალური გადაწყვეტილების გარეშე. ასევე ფიქსირდებოდა ისეთი საარჩევნო მასალების მიღება, რომელთაც ლუქები ახსნილი ჰქონდათ. შედეგების ოქმებში დაფიქსირებული ციფრები ხშირად სწორად არ იყო შეჯამებული. ოფიციალური საჩივარი ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფ 10 საოლქო საარჩევნო კომისიაში იქნა შეტანილი. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მათ და ასევე სხვა დამკვირვებლებს უჭირდათ ხმების შეჯამების პროცესის ყველა ასპექტის გაგება. ჩვენ მოგვიხდა არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების გამოწვევა ნინოწმინდის 41-ე საოლქო საარჩევნო კომისიიდან მას შემდეგ რაც საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა მათი თარჯიმნის მიმართ მუქარა განახორციელა. ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს განუცხადეს, რომ ისინი ხმების შეჯერებას დაუყოვნებლივ არ დაიწყებდნენ და რომ ისინი ხმების შეჯერებას მხოლოდ 31 მაისს ან 31 მაისის შემდეგ მოახდენდნენ.

მოხსენების მხოლოდ ინგლისური ვერსია არის ოფიციალური

ინფორმაცია მისიის შესახებ და სამადლოხელი სიტყვა

თბილისი, 2010 წლის 31 მაისი - 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების კონგრესის ერთობლივი პროექტია.

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისია თბილისში 16 აპრილს გაიხსნა. მის შემადგენლობაში შედიოდა 14 ექსპერტი დედაქალაქში და საქართველოს რეგიონებში განაწილებული 24 გრძელვადიანი დამკვირვებლები. არჩევნების დღეს 203 მოკლევადიანი დამკვირვებელი მუშაობდა; სულ არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებდა დამკვირვებლები ეუთოს 37 ქვეყნიდან. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები საარჩევნო პროცესს 3,694 საარჩევნო უბნიდან 815 უბანზე დააკვირდა; დამკვირვებლები ასევე დაესწრნენ ხმების დათვლის პროცესს 84 საარჩევნო უბანში და 73 საოლქო საარჩევნო კომისიიდან 43 საოლქო საარჩევნო კომისიაში ხმების შეჯამების პროცესს. ელჩი ოდრი გლოვერი (გაერთიანებული სამეფო) OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის უფროსია.

კონგრესის არჩევნების სადამკვირვებლო მისიაში 14 ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე არჩეული წარმომადგენლები შედიოდნენ, რომლებიც ევროპის 11 ქვეყანას წარმოადგენდნენ. დელეგაციის ოთხი წევრი ევროკავშირის

რეგიონების კომიტეტის წევრია. დელეგაციას კონგრესის ვიცეპრეზიდენტი გიუნტერ კრუგი (გერმანია) ხელმძღვანელობდა. აღნიშნული დამკვირვებლები, მათ შორის ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე არჩეული წარმომადგენლები, ადგილობრივ და რეგიონალურ დონეებზე საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობას და პატიოსნად ჩატარებას უწყობენ ხელს. კონგრესის წარმომადგენლები წინასწარჩევნო ვითარების გაცნობის მიზნით საქართველოს 3 და 4 მაისს ეწვივნენ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინა დღეებში კონგრესის დელეგაცია შეხვდა მთავრობის, პარლამენტის, ოპოზიციის, მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ისევე როგორც საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შეფასდა მათი ეუთოს და ევროპის საბჭოს მიერ დემოკრატიული არჩევნებისთვის დადგენილი ვალდებულებების და სტანდარტების და ასევე საქართველოს კანონმდებლობის შესრულების თვალსაზრისით. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული წინასწარი მონაცემები და დასკვნები საარჩევნო პროცესის დასრულებამდე ქვეყნდება. არჩევნების საბოლოო შეფასება ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება საარჩევნო პროცესის დარჩენილი ეტაპების ჩატარებაზე, განსაკუთრებით შედეგების შეჯამებაზე და არჩევნების შემდეგ სავარაუდოდ შემოსული საჩივრების და განცხადებების განხილვაზე.

OSCE/ODIHR გამოაქვეყნებს ყოვლისმომცველ საბოლოო ანგარიშს, რომელშიც შევა რეკომენდაციები პროცესის პოტენციურად გაუმჯობესების შესაძლებლობებზე. აღნიშნული საბოლოო ანგარიში საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით 8 კვირის შემდეგ გამოაქვეყნდება. კონგრესის დელეგაციის ხელმძღვანელი წარმოადგენს თავის ანგარიშს, ამ ანგარიშში შევა რეკომენდაციები და რეზოლუცია, რომელიც კონგრესის პლენარული სესიის დროს იქნება დამტკიცებული 2010 წლის ოქტომბერში. წინასწარი დებატები გაიმართება კომიტეტის შეხვედრაზე სტრასბურგში (2010 წლის 18 ივნისი), რომელსაც დაესწრებიან გიუნტერ კრუგი და შერონ ტეილორი (რეგიონების კომიტეტის დელეგაციის სპიკერი).

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას სურს მადლობა გადაუხადოს საქართველოს ხელისუფლებას არჩევნებზე დამკვირვებლად მოწვევისთვის, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სააკრედიტაციო დოკუმენტაციის უზრუნველყოფისთვის და საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა სახელისუფლებო ორგანოებს მათ მიერ გაწეული დახმარების და თანამშრომლობისთვის. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას ასევე სურს პატივისცემა გამოხატოს საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მათ მიერ გაწეული მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

- ელჩ ოდრი გლოვერს, OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს, თბილისში (+995-32-487 841);
- ბატონ იენს ეშენბეხერს, OSCE/ODIHR-ის სპიკერს (+48-603-683 122); ან ქალბატონ ტატიანა ზოგუსევიჩს, OSCE/ODIHR-ის მრჩეველს არჩევნების საკითხებში, ვარშავაში (+48-22-520 0600);
- ბატონ გიუნტერ კრუგს, კონგრესის დელეგაციის უფროსს ან ქალბატონ ანტონელა კაგნოლატის, კონგრესის დირექტორს, სტრასბურგში (+33 (0) 634 787 28);
- ქალბატონ რენატე ზიქმუნდს, კონგრესის კომუნიკაციების, საერთაშორისო ურთიერთობების და არჩევნებზე დაკვირვების განყოფილების უფროსს, სტრასბურგში (+33 (0) 659 786 455).

OSCE/ODIHR-ს არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მისამართი:

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“

თბილისი, თელავის ქ. #20, 0103

ტელ: +995 32 487841

ფაქსი: +995 32 487842

ელ-ფოსტა: office@odihr.ge

კონგრესის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მისამართი:

სასტუმრო „ამბასადორი“

შავთელის ქუჩა #13, 0105, თბილისი

ტელ.: +995-32-92-04-03

ფაქსი: +995-32-93-17-40

ელ. ფოსტა: renate.zikmund@coe.int